საქართველოს მთავრობის
კანცელარია

CHANCELLERY OF THE
GOVERNMENT OF GEORGIA

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას

აღმასრულებელ დირექტორს ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული

ქალბატონო ნინო,

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში თქვენს მიერ 2013 წლის 21 აგვისტოს წარმოდგენილი №27340 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივასა და ფიზიკური პირის ირინა ღამბაშიძის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში წარმოდგენილ იქნა 2013 წლის 05 აგვისტოს, რის შემდეგ – ამავე წლის 13 აგვისტოს დასკვნის წარმოდგენისთვის გადაეგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია – 2013 წლის 05 აგვისტო.

პატივისცემით,

სოფიო სიჭინავა

№27617
23.08.2013

იურიდიული დეპარტამენტის

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას 7
7 Ingorokva Str. Tbilisi, 0114, Georgia

ტელ/Tel: (+995 32) 2990900
www.government.gov.ge